საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დავით გელაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**2**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - დავით გელაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - დავით გელაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **დავით გელაშვილი**

ასაკი: **46 წლის**

დაბადების თარიღი: **7 მარტი, 1975წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **20 წელი**

სამუშაო ადგილი: **ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე/თავმჯდომარე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, დავით გელაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, ობიექტურობას, კოლეგიალურობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი კანდიდატის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

- დავით გელაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („სიჩქარის გადაჭარბება"; ჯარიმა - 50 ლარი, 2 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („მართვის წესების დარღვევა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას"; ჯარიმა - 20 ლარი, 2 შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა"; ჯარიმა - 10 ლარი, 1 შემთხვევა).

ყველა ზემოაღნიშნული ჯარიმა გადახდილია კანონით გათვალისინებული ვადების დაცვით.

წარმოდგენილი და მოძიებული მასალები არ შეიცავს იმ სახის ინფორმაციას, რაც ეჭვქვეშ დააყენებს კანდიდატის კეთილსინდისიერებას, **რაც მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, იგი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი, აქვს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს,**

კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დავით გელაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, რაც ზოგადად, მიუთითებს იმაზე, რომ კანდიდატი იცავს ქცევის მაღალ სტანდარტს.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, დავით გელაშვილი მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, დავით გელაშვილის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

გასაუბრების მსვლელობის პროცესში კანდიდატი იყო თავდაჭერილი, დინჯი და გაწონასწორებული. არ არის ინფორმაცია, საჩივარი ან განცხადება, რომელიც მიუთითებდა კანდიდატის არასათანადო ქცევაზე და ეჭვქვეშ დააყენებდა მის ეთიკურობას, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, ობიექტურობას, კოლეგიალურობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე არ გამოვლინდა ის სავარაუდო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია, პატიოსნება და მიუკერძოებლობა, რაც იძლევა მითითებულ მახასიათებელში კანდიდატის დადებითად შეფასების საფუძველს.

ყველა ზემოაღნიშნული მახასიათებლის ერთობლივი ანალიზის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, დავით გელაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა დავით გელაშვილის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, საქმე N1/162-2018 (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები).
- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N2-346/17 (ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება).

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ დავით გელაშვილი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, სწორად და კონტექსტუალურად იყენებს მათ სასამართლო გადაწყვეტილებებში.

გასაუბრების ეტაპზე, დავით გელაშვილმა სისხლის სამართალში გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების კარგი ცოდნა. ასევე საინტერესო იყო მისი ხედვები სისხლის სამართლის პრინციპებთან მიმართებაში, მაგალითად, სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით კანდიდატი მიიჩნევს, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შორის თანასწორობის დაბალანსების თავალსაზრისით, უმჯობესია, კონკრეტულ გარემოებებში სისხლის სამართლის

მოსამართლისათვის მეტი უფლებამოსილებების მინიჭება. მისი შეფასებით, არსებული მოწესრიგებით, ბრალდებისა და დაცვის მხარეები რიგ შემთხვევებში არ სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, რაც მან ნათლად დაასაბუთა კონკრეტული შეფასებების გაკეთების პროცესში.

კანდიდატმა ისაუბრა სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან ინსტიტუტზე - საპროცესო გარიგებაზე და მიუთითა მის ისეთ დადებით მახასიათებლებზე, როგორიცაა სწრაფი მართლმსაჯულება, ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე შემცირებული სასჯელი და სხვა. თუმცა, აქვე ახსნა და ყურადღება გაამახვილა იმ პოტენციურად უარყოფით მხარეებზე, რაც ამ პროცესში მოსამართლის შემცირებულ როლში ვლინდება. კონსტრუქციულ მსჯელობაზე დაყრდნობით, კანდიდატი დადებითად აფასებს ამ მიმართულებით ადრე არსებულ მოწესრიგებას, რომელიც მოსამართლეს საპროცესო გარიგების საბოლოო სახის განსაზღვრაში უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებდა.

ღირებულებათა სისტემაში კანდიდატმა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მორალურ ღირებულებად სიკეთე და პატიოსნება დაასახელა.

კანდიდატმა ისაუბრა ბავშვის საუკეთესო ინტერესზე.

კანდიდატმა დამაჯერებლად განმარტა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის განმასხვავებელი ფაქტორები კონვენციური სტანდარტის მიხედვით (რაც მისი თქმით, გამოიყენა კიდევაც მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილების დასაბუთებისას). აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატი იცნობს ამ მიმართულებით, როგორც საკანონმდებლო სიახლეებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე სამართალშემოქმედების პროცესში.

კანდიდატი სწორად აყალიბებს ღირსებისა და პატივის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ცნებებს, ისევე, როგორც მათ კონკრეტულ მახასიათებლებსა და მათი დაცვის განსხვავებულ სტანდარტებს, რაც მიუთითებს მისი ცოდნის ხარისხზე ამ სამართლებრივ ცნებებთან მიმართებით.

კანდიდატი განიხილავს ირიბი ჩვენებების ეროვნულ დონეზე მოწესრიგების საკითხს. ამასთან, მიჯნავს ასეთ ჩვენებათა დასაშვებობის სტანდარტებს, საგამოძიებო და სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების ეტაპებზე.

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების დროს დანაშაულის პროვოცირების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს ჩამოყალიბებული სტანდარტზე საუბრისას, კანდიდატმა მართალია, ვერ მოახერხა უშუალოდ, აღნიშნული ტესტის პუნქტების ჩამოთვლა, თუმცა, თანმიმდევრულად იმსჯელა იმ ძირითად გარემოებებზე, რაც შესაბამისმა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მოცემული საკითხის განხილვისას.

კანდიდატმა დადებითად შეაფასა მოსამართლეთა გასაუბრების საჯაროობის ელემენტი, რამდენადაც, მისი მოსაზრებით, აღნიშნული უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის პროცესის გამჭვირვალობასა და ღიაობას.

ბავშვის ძალადობისგან დაცვის კუთხით არსებული საერთაშორისო მექანიზმების თვალსაზრისით, კანდიდატმა ვერ მოახერხა, ზუსტად განემარტა ის შესაბამისი პროცედურა, რის შესაძლებლობასაც ბავშვის უფლებათა კომიტეტი იცნობს, თუმცა ჩამოთვალა ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც უნდა განახორციელონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა მოცემული საკითხის გადაჭრის მიზნით.

კანდიდატმა ისაუბრა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის მნიშვნელობასა და მისი საქმიანობის მიმართულებებზე, თუმცა ვერ შეძლო, ჩამოეთვალა ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეუძლია ინსპექტორს, ისარგებლოს დისციპლინარულ დევნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებით.

კაზუისტურ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შეცვლას და უდანაშაულო პირის გამართლებას, კანდიდატმა აღნიშნა, რომ ის პროცესუალური დაბრკოლების მიუხედავად, სავარაუდოდ მიიღებდა რაიმე ზომას, თუნდაც ისარგებლებდა საკონსტიტუციო წარდგინების შესაძლებლობით.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი ნათლად ჩანს მის მიერ რამდენიმე საკვანძო საკითხის განხილვისას. ამაზე მეტყველებს მის მიერ განვითარებული კონსტრუქციული მსჯელობა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით, რომლის ფარგლებში მან ერთი მხრივ ხაზი გაუსვა საზოგადოებისთვის ერთგვაროვანი პრაქტიკის მნიშვნელობას, თუმცა მეორე მხრივ მიუთითა პრაქტიკის ახალ, ცვალებად რეალობასთან შესაბამისობის საჭიროებაზე.

ისეთ კაზუისტურ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატის ჩამოცილების, ბიძაშვილის ან საერთო წინაპრის მქონე პირის დავის აცილების საკითხებს, კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა პოტენციურ სირთულეებსა და რისკებზე და შეძლო, დაეფიქსირებინა დამაჯერებელი და დასაბუთებული პოზიცია.

კითხვაზე, რომელიც ეხებოდა სასამართლო ხელმისაწვდომობის კუთხით, ეპიდემიოლოგიური ვითარების შედეგად გამოწვეულ საფრთხეებს, კანდიდატმა ფაქტობრივი მაგალითების მოშველიებით, თანმიმდევრულად განავითარა მსჯელობა ამ პრობლემატიკასთან მიმართებით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 11 წლიანი სტაჟი, რაც მიუთითებს მის პროფესიულ გამოცდილებაზე. წარმოდგენილი გადაწყვეტილებები ძირითადად დასაბუთებულია მკაფიოდ და სარწმუნოდ. გადაწყვეტილებების შესწავლისა და გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

წერის უნარი შევაფასე კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე და როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, ასევე გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, გადაწყვეტილებები ძირითადად არის სტრუქტურირებული, სისტემაზე დაფუძნებული და მარტივად აღქმადი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, მისი მსჯელობა არის მწყობრი და თანმიმდევრული. კანდიდატს გააჩნია მოსმენის კულტურა. გასაუბრების პროცესსი იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, დავით გელაშვილის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 90,3%; შეცვლილი 9,7%.
- საანგარიშო პერიოდში (1026 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 3514 საქმე, დღეში საშუალოდ 3.5 საქმემდე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახდენს საქმეთა ნაკადის მართვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, რაც მიუთითებს, რომ კანდიდატს გააჩნია დროის ეფექტურად გამოყენების უნარი, გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით და გულმოდგინებით. განხილული საქმეების რაოდენობა მიუთითებს მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული 2 სემინარში, რაც დაბალი მაჩვენებელია. ვთვლი, რომ მის მიერ განხილული საქმეების რაოდენობა და ზოგადი დატვირთულობა შესაძლოა ქმნიდეს ამ მიმართულებით მისი აქტივობის შეფერხების საფუძველს, თუმცა, თავისთავად, წარმოდგენილი აქტივობა არ იძლევა მისი მაღალი ქულით შეფასების შესაძლებლობას.

კანდიდატს აკადემიური მიღწევები არ აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 2 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ახორციელებს მხოლოდ სამოსამართლო უფლებამოსილებას, სხვა პროფესიული აქტივობებით არ გამოირჩევა. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იყოს ის მენეჯერული ვალდებულებები, რომელშიც კანდიდატი აქტიურად არის ჩართული, რის გამოც, ის აღნიშნულ მაჩვენებელში ვერ დარჩება შეფასების მიღმა და ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 3 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 89 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.